

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს „გოლდენ გრუპ „ სკ 445519831

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2. მოგება - ზარალის ანგარიში
3. კაპიტალის მოძრაობის ანგარიში
4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

**ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი
შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გოლდენ გრუპი“ სკ-445519831, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 09 ნოემბერს, საწარმოს იურიდიული მისამართი საქართველო, ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ., # 5, სართული 38. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. N 19 . საწარმო დამფუძნებელი და 97% წილის მფლობელი არის ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქე ფიზიკური პირი მასუდ მეირ კოჰენ, პასპ: 0-5868411- 9, 39012310, 3% წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი მარიამ კუბლაშვილი, პ/ნ-08001006108.

საწარმოს ძირითადი საქმიანობებია:

1. საკუთარი ან იჯარით აღებული სახცოვრებელი და არასაცხოვრებელი უძრავი ქონების გაქირავება და მართვა;
2. სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით (KOSHER - ებრაული რწმენის ყველა ეტაპისა და მასალებისა და მოწყობილობების შესაბამისობაში არსებული სასტუმრო-რესტორანი);
3. რესტორნები და საკვებით მომსახურების საქმიანობები;

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2023 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილია წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2023 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები: შენობა ნაგებობები - 5 %; მანქანა დანადგარები - 20-%; საოფისე აღჭურვილობა -20-%; ავეჯი და მოწყობილობები -20-%; სხვა ძირითადი საშუალებები -20-%.

3.4. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის

განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი . თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.5. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები. გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.6. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.7. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ. დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.8. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.9. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით. სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი. მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

მასულ მეორ კოპენ

ირაკლი ირემაძე



შპს „გოლდენ გრუპ“ - ს/კ-445519831
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2023	2022
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	47,006,379	32,679,451
სულ გრძელვადიანი აქტივები	47,006,379	32,679,451
მიმდინარე აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
დებიტორული დავალიანება და ავანსები	2,390,879	6,909,686
მარაგები	565,085	548,719
ფულადი სახსრები და მათი ექვი.	162,348	3,076,343
სულ მიმდინარე აქტივები	3,118,312	10,534,748
სულ აქტივები	50,124,691	43,214,199
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	10,798,783	11,389,023
გაუნაწილებელი მოგება	11,792,312	10,131,566
საანგარიშო წლის მოგება/ზარალი	(3,182,025)	1,660,746
სულ კაპიტალი	19,409,070	23,181,335
ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30,480,809	19,875,823
საგადასახადო ვალდებულებები	234,812	157,041
სულ მიმდინარე ვალდებულებები	30,715,621	20,032,864
სულ ვალდებულებები	30,715,621	20,032,864
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	50,124,691	43,214,199

დირექტორი:

მასუდ მეირ კოჭენ



მთ. ბუღალტერი:

ირაკლი ირემაძე



შპს „გოლდენ გრუპ“, ს/კ-445519831


მოგება - ზარალის ანგარიში

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2023	2022
შემოსავალი იჯარიდან	2,847,280	294,561
შემოსავალი სარესტორნე მომსახურებიდან	1,449,665	864,670
შემოსავალი სასტუმროს მომსახურებიდან	3,313,938	2,518,615
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	2797	331
გაყიდვების თვითღირებულება	(3,650,594)	(2,046,341)
საერთო მოგება	3,963,086	1,631,836
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,954,640)	(1,655,300)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	(2,192,735)	(986,006)
საპროცენტო ხარჯი	(1,909,817)	(860,327)
საგადასახადო ხარჯი	(31,142)	(15,361)
ფინანსური დანახარჯები	(1,406,973)	(488,998)
საპროცენტო შემოსავლები	49,791	127,064
ფინანსური შემოსავლები	300,405	3,907,838
საანგარიშო წლის მოგება დაბეგვრამდე	(3,182,025)	1,660,746
მოგების გადასახადი	-	-
საანგარიშო წლის წმინდა მოგება	(3,182,025)	1,660,746

დირექტორი:

მასუდ მეირ კოჰენ



მთ. ბუღალტერი:

ირაკლი ირემაძე



შპს „გოლდენ გრუპ“, ს/კ-445519831

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-
2018 წლის მოგება	-	(456,455)	(456,455)
საწესდებო კაპიტალის შევსება	695,246	-	695,246
დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	695,246	(456,455)	238,791
2019 წლის მოგება	-	(798,371)	(798,371)
საწესდებო კაპიტალის შევსება	2,749,153	-	2,749,153
დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,444,399	(1,254,826)	2,189,573
2020 წლის მოგება	-	(358,372)	(358,372)
საწესდებო კაპიტალის შევსება	52,965	-	52,965
დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,497,364	(1,613,198)	1,884,166
2021 წლის მოგება	-	12,532,195	12,532,195
საწესდებო კაპიტალის შევსება	(3,497,364)	-	(3,497,364)
დივიდენდები	-	(787,431)	(787,431)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	10,131,566	10,131,566

2022 წლის მოგება	-	1,660,746	1,660,746
საწესდებო კაპიტალის შევსება	11,389,023	-	11,389,023
დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,389,023	11,792,312	23,181,335
2023 წლის მოგება	-	(3,182,025)	(3,182,025)
საწესდებო კაპიტალის შევსება	(590,240)	-	(590,240)
დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,798,783	8,610,287	19,409,070

დირექტორი:

მასუდ მეირ კოჰენ




მთ. ბუღალტერი:

ირაკლი ირემაძე

